06/02/2024

MES 5 24 0000119832

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილებით დამტკიცებული „პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების“ მე-18 მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2024 წლის 26 იანვარს 14:00 ს აათზე**. საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Time: Jan 26, 2024 02:00 PM Tbilisi
Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/86487930312?pwd=Sk9ZeGJzR0h1ZVRCMnk3NlZkREdDdz09
Meeting ID: 864 8793 0312
Passcode: 804879

საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

ნინო ბაბალაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის დირექტორი (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (საბჭოს წევრი);
მარიამ ქუჩულორია - პროფესიული განათლების ექსპერტი (საბჭოს წევრი);
მარიკა ზაქარეიშვილი - გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროექტის - ,,კერძო სექტორის ჩართულობა პროფესიული განათლებისა და ტრენინგის სისტემაში სამხრეთ კავკასიაში“ ექსპერტი (საბჭოს მდივანი);

მარიამ ნოზაძე - სსიპ - აწარმოე საქართველოში ადამიანური რესურსების მენეჯერი (საბჭოს წევრი);
თორნიკე თოხაძე - ა(ა)იპ - საქართველოს საინფორმაციო ტექნოლოგიების ასოციაციის პრეზიდენტი (საბჭოს წევრი);
თეა გულუა - გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში, ცოდნის მართვის და ინოვაციების სპეციალისტი (საბჭოს წევრი);
მარიამ შოთაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის კოლეჯების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი).

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი
ქეთევან ციხისელი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
სალომე ქუთათელაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
ნონა საათაშვილი - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

დაწესებულების წარმომადგენელი:

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯი

თეიმურაზ ლორთქიფანიძე - დირექტორი
ნინო ძაგანია - ხარისხის მართვის მენეჯერი

შპს მენეჯმენტის ევროპული სკოლა - თბილისი

გიზო სართანია - დირექტორი

ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაცია

თამარ ახალაძე - პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
მაია მიროტაძე - „დეკორატიული ბაღის მოვლა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
ნინო ერაძე - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი, ეროვნული ბოტანიკური ბაღის მცენარეთა ინტროდუქციისა და კოლექციების მართვის განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, ეთნო ბოტანიკის განყოფილების უფროსი

ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლა

მაკა ვარდოსანიძე - დირექტორი
ლალი ალფაიძე - ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი
მზია ბერუაშვილი - „ხეხილოვანი კულტურების დაცვა“ პროფესიული მომზადების პროგრამის განმახორციელებელი პირი
გიორგი ფეტვიაშვილი - პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების დარგის ექსპერტები:

სოფიო მუკათარიძე
ნანა შათირიშვილი
ქეთევან გელაშვილი
თამარ ახალაძე

საბჭოს სხდომა დაიწყო 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებს და დაინტერესებულ მხარეებს, ხომ არ ჰქონდათ შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით, შუამდგომლობა დღის წესრიგთან დაკავშირებით არ იყო.

შემდეგ საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის მონაწილეებს გააცნო სხდომის **დღის წესრიგი**:

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

2. შპს მენეჯმენტის ევროპული სკოლა - თბილისის „სასტუმროს საქმის სპეციალისტი“ /01842/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

3. ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა
ასოციაციის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ /01818/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

4. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ფუტკრის პროდუქტების მიღება“ /01835/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ხეხილოვანი კულტურების დაცვა'' /01845/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

1. სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა ცენტრის წარმომადგენელმა სალომე ქუთათელაძემ, მან განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) 2023 წლის 07 ნოემბრის №1502150 ოქმის, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯისთვის „სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობისა და კროსფიტის ინსტრუქტორი“ პროფესიული მომზადების პროგრამის ხარვეზის გამოსასწორებლად ვადის განსაზღვრის შესახებ'' საბჭოს 2023 წლის 07 ნოემბრის №1502894 გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯმა 2023 წლის 29 ნოემბერს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) ელექტრონული სისტემით (qms.eqe.ge) წარმოადგინა განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ძალოსნობის ინსტრუქტორი'' განაცხადი ID 01749.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2023 წლის 13 დეკემბრის №1701928 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, სოფიო მუკათარიძემ შეისწავლეს განახლებული პროფესიული მომზადების პროგრამა.

წარმოდგენილი პროგრამის შესწავლის შედეგად ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით სალომე ქუთათელაძემ განაცხადა, რომ პროგრამის სახელწოდებაა „ძალოსნობის ინსტრუქტორი“, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე; პროგრამის ხანგრძლივობა - 14 კვირა; სწავლების ენა - ქართული; მსმენელთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა - 16; პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, ე. ნინოშვილის №55.
1.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია პროგრამის სახელწოდებასთან დაკავშირებით, ვინაიდან წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებდა ძირითადად ძალოსნობის მოძრაობების შესწავლას, დარგის ექსპერტმა მიზანშეწონილად მიიჩნია პროგრამის სახელწოდება შეცვლილიყო.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და პროგრამის სახელწოდება ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: „ძალოსნობის ინსტრუქტორი“, პროგრამის სახელწოდება გამომდინარეობს პროგრამის შედეგებიდან და თემატიკიდან. პროგრამის სწავლის შედეგები არ არის დამაბნეველი და შეცდომაში შემყვანი.
გაცემული იყო რეკომენდაცია 1.4 ქვესტანდარტთან მიმართებაში, პროგრამაზე დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, კერძოდ, მიზანშეწონილია, პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ,,დაშვების წინაპირობებში'' დაკონკრეტდეს პირობები, კერძოდ, რა ტიპის გასაუბრება და გამოცდა ტარდება, (გასაუბრება-სამოტივაციო და გამოცდა - სპორტული ტური), ჩასაბარებელი სპორტული ნორმატივების შესახებ ინფორმაცია, აპლიკანტის მიერ ჯანმრთელობის ცნობის (ფორმა 100) წარმოდგენის და სპორტული ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ორმოცდაათ ლარიანი ქვითრის წარმოდგენის შესახებ, რომელიც განსაზღვრულია კოლეჯის მიერ წარმოდგენილი დებულებით - ,,სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამებზე აპლიკანტთა შესარჩევი სპორტული ტურის დებულება''.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: ასაკი: 18 წელი, სრული ზოგადი განათლება; აპლიკანტთა შერჩევის ფორმა - გასაუბრება სამოტივაციო და გამოცდა, სპორტული ტური. სპორტულ ტურზე აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა 100) და სპორტული ტურის საფასურის გადახდის დამადასტურებელი ორმოცდაათ ლარიანი ქვითარი.
ასევე, გაცემული იყო რეკომენდაცია 1.6 ქვესტანდარტთან მიმართებაში, კერძოდ - მეოთხე სწავლის შედეგი არ არის ჩამოყალიბებული შესაბამისი აქტიური ზმნით და შესაბამისად, არ დგინდება, რა დონეზე იგულისხმება მსაჯობის ცოდნა. როგორც პროგრამის განმახორციელებელთან გასაუბრებით გაირკვა მსმენელი შეისწავლის მსაჯობის ზოგად წესებს და არა მსაჯობას, აქედან გამომდინარე მიზანშეწონილია დაკორექტირდეს მეოთხე სწავლის შედეგი და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: „მსაჯობის ზოგადი წესების ცოდნა სასწავლო-საწვრთნო და საშეჯიბრო პროცესის ფარგლებში“.
დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მეოთხე სწავლის შედეგი დაკორექტირდა.
ასევე, გაიცა რეკომენდაცია 1.9 ქვესტანდართან მიმართებაში, კერძოდ, ,,პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,პარტნიორები'' არ არის მითითებული კოლეჯის პარტნიორი ორგანიზაცია, თუმცა კოლეჯს დადებული აქვს მემორანდუმი საქართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციასთან და ეს მემორანდუმი წარმოდგენილია კოლეჯის მიერ ელ. სისტემით პროგრამის განაცხადთან ერთად. ამდენად, მიზანშეწონილია პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,პარტნიორები'' განისაზღვროს პარტნიორი ორგანიზაცია''.
კოლეჯმა გაითვალისწინა რეკომენდაცია და წარმოდგენილ მომზადების პროგრამის დოკუმენტის ველში ,,პარტნიორები'' განსაზღვრული აქვს პარტნიორი ორგანიზაცია - საქართველოს ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია.

1.10 ქვესტანდარტთან დაკავშირებით გაცემული იყო რეკომენდაცია, კერძოდ, არ იყო განსაზღვრული თუ რომელ კვირას განხორციელდებოდა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, დაწესებულებამ გაითვალისწინა რეკომენდაცია განსაზღვრა შემდეგი, რომ განმავითარებელი შეფასება განხორციელდება ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს, ხოლო პროგრამის სწავლის შედეგების განმსაზღვრელი შეფასება სწავლის დასრულების ბოლოს, მეთოთხმეტე სასწავლო კვირას.
ასევე, დაწესებულების მიერ გათვალისწინებული იქნა მეორე სტანდარტის 2.2 და 2.3 ქვესტანდარტთან მიმართებაში გაცემული რეკომენდაციები, რომელიც ეხებოდა სასწავლო რესურსის და მატერიალური რესურსის ჩამონათვალის დამატებას პროფესიული მომზადების პროგრამის დოკუმენტის შესაბამის ველში, რომელიც გათვალისწინებულია.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დარგის ექსპერტს ეთანხმებოდა თუ არა პრეზენტაციაში წარმოდგენილი რეკომენდაციების გათვალისწინების საკითხს, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ დასკვნა ერთობლივად იქნა მომზადებული, შეთანხმებულად და დასძინა, რომ დაწესებულებას ყველა რეკომენდაცია გათვალისწინებული აქვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯის „ძალოსნობის ინსტრუქტორი“ /01749/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო კოლეჯს (ს/კ: 202949159) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ძალოსნობის ინსტრუქტორი /01749/ **(დანართი 1)**.

ვინაიდან დღის წესრიგით განსაზღვრული მეორე საკითხის განხილვა ვერ მოხერხდა ტექნიკური ხარვეზის გამო, საბჭოს წევრების ერთობლივი გადაწყვეტილებით მეორე საკითხად განხილულ იქნა ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის პროფესიული გადამზადების პროგრამა „დეკორატიული ბაღის მოვლა“.

2. ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ /01818/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 28 ნოემბრის №1610225 ბრძანების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და მოწვეულმა დარგის ექსპერტმა ქეთევან გელაშვილმა და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ 2023 წლის 5 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციაში ქ. თბილისში, სოფელი დიღომი, რუსთაველის მე-4 ჩიხი №6, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,დეკორატიული ბაღის მოვლა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, გაიცა ერთი რეკომენდაცია 2.2 ქვესტანდარტთან მიმართებაში

2.2 ქვესტანდარტი - ორგანიზაციას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან (შპს ,,მწვანე სახლი“, ა(ა)იპ ,,საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღი“). რეკომენდაცია გაიცა, ასოციაციამ პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებით გააფორმონ ხელშეკრულებები, სადაც უფრო მკაფიოდ იქნება გაწერილი მხარეთა მიერ შესასრულებელი ამოცანები, კონკრეტულ ადგილზე მისაღწევი სწავლის შედეგები, სტუდენტების კვირეული (საათობრივი) დატვირთვა, რომელიც კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტზე უნდა გაატარონ და საჭირო მატერიალური აღჭურვილობის ჩამონათვალი.

დარგის ექსპერტმა მოკლედ ისაუბრა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტებთან მიმართებაში.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის სახეა გადამზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 13 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, რუსთაველის მეოთხე ჩიხი №6.

პროგრამის საჭიროების დასაბუთებასთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ ასოციაციის წევრთა შეხვედრების დროს მუდმივად იდგა საკითხი ამ სფეროში არსებული კადრების გადამზადების შესახებ. ვინაიდან ამ სფეროში ვერ კმაყოფილდება ბაზრის მზარდი მოთხოვნა.

ასოციაციის მიერ გამოიკითხა ასოციაციის 30 წევრი, რამდენადაც ასოციაციის ერთ-ერთი მთავარი საქმიანობა განათლების ხელშეწყობა და კვალიფიკაციის ამაღლებაა, ჩატარებული მოკვლევის შესაბამისად გადაწყდა პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელება.
პროგრამის მიზანთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გონივრულად არის განსაზღვრული, სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
შემდეგ მან ისაუბრა ადამიანურ, მატერიალურ და სასწავლო რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამის განმახორციელებელი 5 პირს უდასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების სწავლებისთვის შესაბამისი განათლება და პრაქტიკული გამოცდილება. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის ოთხ განმახორციელებელთან გასაუბრება, რომელიც იქნება ძირითადი განმახორციელებელი. აღნიშნული პირი ჩართული იყვნენ პროგრამის შემუშავებაშიც და მათ გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.

წარმოდგენილი პროგრამისთვის გამოიყენება A გარემო. აღნიშნული გარემო უზრუნველყოფილია 10 სამუშაო ადგილით მსმენელებისთვის, პროგრამის მეტი წილი ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს, რომელიც განხორციელდება შპს „მწვანე სახლისა“ და სსიპ „საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის“ მფლობელობაში არსებულ ტერიტორიაზე.
წარმოდგენილი სასწავლო რესურსი ფარავს ყველა სწავლის შედეგს, ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებაზე.
სასწავლო პროცესი ხორციელდება უსაფრთხო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით სახანძრო უსაფრთხოების შესახებ.
მესამე სტანდარტი ძირითადად არ ექვემდებარება შეფასებას გამოცდილების არარსებობის გამო, თუმცა ხარისხის მექანიზმები, მსმენელთა ჩარიცხვის წესი, შეფასების წესი შემუშავებული აქვს დაწესებულებას და შეფასდა დადებითად.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს დაეფიქსირებინა პოზიცია და ყურადღება გაამახვილა მემორანდუმთან დაკავშირებით. დაწესებულების წარმომადგენელი თამარ ახალაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს და განაცხადა, რომ ვინაიდან დაწესებულების ხელმძღვანელი ვერ დაესწრო საბჭოს სხდომას, თვითონ წარმოადგენდა საბჭოს სხდომაზე დაწესებულების მხარეს. მან მადლობა გადაუხადა ექსპერტებს ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის და დასძინა, რომ ეთანხმებოდნენ ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას, აღნიშნული რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა და ხელშეკრულებაში დეტალურად გაიწერა და დაზუსტდა ინფორმაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს არ ჰქონდათ კითხვები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციის „დეკორატიული ბაღის მოვლა“ /01818/ - პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ საქართველოს დეკორატიული და ტყის შემქმნელი ენდემური სახეობების მწარმოებელთა ასოციაციას (ს/კ: 405292311) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული გადამზადების პროგრამა - დეკორატიული ბაღის მოვლა /01818/ **(დანართი 2)**.

3. შპს მენეჯმენტის ევროპული სკოლა - თბილისის „სასტუმროს საქმის სპეციალისტი“ /01842/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა ნანა შათირიშვილმა, მან განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) 2023 წლის 11 დეკემბრის №1686339 ბრძანების საფუძველზე, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, სალომე ქუთათელაძემ და დარგის ექსპერტმა, ნანა შათირიშვილმა განახორციელეს ვიზიტი, შპს მენეჯმენტის ევროპულ სკოლა - თბილისში (შემდგომში - სკოლა) (მის: თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 37მ.) ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა, პროფესიული მომზადების პროგრამის „სასტუმროს საქმის სპეციალისტი“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.

ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.

პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 21 კვირა, კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა - 12– 40 საათი, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა საერთო რაოდენობა პროგრამაზე - 80, პროგრამის განხორციელების ადგილი - თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 37მ, სართული 5.

დარგის ექსპერტმა მოკლედ განიხილა სამივე ქვესტანდარტი და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
წარმოდგენილი პროგრამა უკავშირდება შრომის ბაზრის მოთხოვნებს და დასაქმების/მეწარმეობის/პიროვნული განვითარების პერსპექტივებს, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, მიზანი მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებთან. პროგრამაზე დაშვების პირობებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაშვების წინაპირობებია ასაკი - 18 წელი; სრული ზოგადი განათლება, აპლიკანტთა შერჩევის ფორმაა გასაუბრება, ასევე აპლიკანტი უნდა ფლობდეს უცხო ენას (გერმანული) A2 დონეზე.
პროგრამის სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, აგრეთვე უნარით ან/და კომპეტენციით, პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა/მსმენელის სასწავლო დატვირთვა პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ადეკვატურია. სწავლების მეთოდები უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, მსმენელთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით, რაც დასტურდება პროგრამაში წარმოდგენილი მრავალფეროვანი სწავლების მეთოდებით.
წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმას, დაწესებულებას ჰყავს ორი პარტნიორი ორგანიზაცია - Hualing international special economic zone'' (სასტუმრო) და ,,სტუმარმასპინძლობის საერთაშორისო ინსტიტუტი''.
დაწესებულებას ორივე პარტნიორ ორგანიზაციასთან გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულება, რომლის მოქმედების ვადაა პროფესიული მომზადების პროგრამის უფლების მოპოვებიდან 3 (სამი) წლის განმავლობაში. მსმენელები უზრუნველყოფილი იქნებიან პრაქტიკით შესაბამის საწარმოში (სასტუმროში), სადაც მოხდება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება. (ერთდროულად მაქსიმუმ 80 მსმენელისთვის; პრაქტიკის სრული პერიოდის განმავლობაში კვებას (დღიურად, ერთჯერად კვებას პრაქტიკის პერიოდში, ფასიანი); პრაქტიკის სრული პერიოდის განმავლობაში განთავსებას (ფასიანი); თვიურ ანაზღაურებას (გასამრჯელოს) გერმანიაში დადგენილი მინიმალური საათობრივი სახელფასო ტარიფით; ხელშეკრულების თანახმად ,,სასტუმრო'' უზრუნველყოფს პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების პრაქტიკას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას და შეფასებას რეალურ სამუშაო გარემოში. სასტუმროს მხარე გამოთქვამს მზაობას ერთდროულად უზრუნველყოს 80 მსმენელის მიღება, გამოყოს თანამშრომელი, რომელიც იქნება მსმენელების კურატორი და კონტროლს გაუწევს მსმენელების შესრულებულ პრაქტიკულ სამუშაოს და მისცემს განმავითარებელ შეფასებას/უკუკავშირს.
მსმენელის შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის ვალიდურ, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიან/ობიექტურ დადასტურებას.
პროგრამა უზრუნველყოფილია სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო ადამიანური, მატერიალური და სასწავლო რესურსით. პროგრამას განახორციელებს 6 დარგის წამყვანი პროფესიული განათლების მქონე პირები, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების სრულ მდგრადობას. მათი კვალიფიკაცია დასტურდება წარმოდგენილი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. ვიზიტის დროს მოხდა პროგრამის განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებაც, მათ გამოცდილებასთან ერთად აქვს დიდი მზაობა და სურვილი პროგრამის განხორციელებისა.
რაც შეეხება მატერიალურ რესურსს A - ტიპის სასწავლო გარემო მოიცავს ორ საკონფერენციო (სალექციო) აუდიტორიას, თეორიული მეცადინეობებისა და ჯგუფური მუშაობისთვის, რომელიც აღჭურვილია პროფესიული მსმენელების, პროგრამის განმახორციელებელი პირების მაგიდითა და სკამით, დაფით, კომპიუტერითა და პროექტორით. პირველ-მერვე სასწავლო კვირას შესაძლებელია ერთდროულად 2 ჯგუფთან სასწავლო პროცესის განხორციელება. მაქსიმალური რაოდენობა ჯგუფში განსაზღვრულია 20 მსმენელით. 2 ჯგუფის თეორიული კომპონენტის დასრულების შემდეგ შესაძლებელია დამატებით ახალი 2 ჯგუფის მიღება. ამ

პრინციპის გათვალისწინებით შესაძლებელია პროგრამაზე ერთდროულად ირიცხებოდეს 80 მსმენელი, ჯამში 4 ჯგუფი, რომელთაგან 2 ჯგუფი 8 კვირით გვიან დაიწყებს სასწავლო პროცესს ვიდრე წინა ჯგუფი. C ტიპის სასწავლო გარემო აღჭურვილია პროგრამის განხორციელების მიზნისათვის სწავლის შედეგებში მითითებული მატერიალური რესურსი-ინვენტარითა და გამტარუნარიანობით. პროგრამის განაცხადთან ერთად სკოლამ წარმოადგინა პარტნიორი ორგანიზაციის ,,სასტუმროს'' მატერიალური რესურსის ჩამონათვალის დოკუმენტი. პროგრამით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ფარავს პროგრამის ყველა სწავლის შედეგს. სასწავლო რესურსი ხელმისაწვდომია პროგრამის მსმენელებისათვის და მორგებულია მათ საჭიროებებზე.
სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტაციით.
მესამე სტანდარტთან დაკავშირებით დარგის ექსპერტმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი დოკუმენტაცია, კერძოდ, დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული ,,პროფესიული მომზადების პროგრამაზე და პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი'', ასევე, ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები'', რომლის მიზანია შპს მენეჯმენტის ევროპულ სკოლა - თბილისში სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება. რაც შეეხება მესამე სტანდარტის 3.5, 3.6 და 3.7 ქვესტანდარტებს, გამოცდილების არარსებობის გამო არ ექვემდებარება შეფასებას.
პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ რა პრინციპით იქნებოდა გადანაწილებული მსმენელები ჯგუფებად, რაზეც დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ მან დეტალურად ისაუბრა ამასთან დაკავშირებით თავის პრეზენტაციაში, მან დასძინა, რომ მსმენელები, რომლებიც გამოთქვამენ სურვილს პრაქტიკული კომპონენტი ადგილზე გაიარონ, აქ გაივლიან პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხოლო მსმენელები ვინც გადაწყვეტს საკუთარი ხარჯებით წასვლას გერმანიაში, რა თქმა უნდა იქ გაივლიან პრაქტიკას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ როგორ მოხდებოდა პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება და რამდენი ინსტრუქტორი ჩაერთვებოდა, რაზეც აღნიშნული ორგანიზაციის დირექტორმა გიზო სართანიამ განაცხადა, რომ მსმენელები გაიყოფიან მცირე ჯგუფებად, 3-5 მსმენელი და პრაქტიკულ კომპონენტი განხორციელდება როტაციის პრინციპით, სხვადასხვა დეპარტამენტში იქნება გადანაწილებული 5-5 მსმენელი, ხოლო შემდეგ მოხდება მსმენელების როტაცია, მან დასძინა, რომ თითოეულ ჯგუფს ეყოლება ერთი ინსტრუქტორი, რომელიც წინასწარ იქნება შერჩეული და შეთანხმებული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, რომელიც გაუწევს კურირებას ამ პროცესს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მენეჯმენტის ევროპული სკოლა - თბილისის „სასტუმროს საქმის სპეციალისტი“ /01842/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, შპს მენეჯმენტის ევროპულ სკოლა - თბილისს (ს/კ: 406322689) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - სასტუმრო საქმის სპეციალისტი /01842/ **(დანართი 3)**.

ვინაიდან მეოთხე და მეხუთე საკითხი ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის მიერ იქნა წარმოდგენილი და ვიზიტზე ორივე პროგრამის შეფასებაზე იმყოფებოდა დარგის ექსპერტი თამარ ახალაძე, დარგის ექსპერტმა ორივე პროგრამა წარმოადგინა ერთ პრეზენტაციაში.

4. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ფუტკრის პროდუქტების მიღება“ /01835/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

5. ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ხეხილოვანი კულტურების დაცვა" /01845/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **არა**

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადებს, პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნებს. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნებს.

ორივე საკითხი საბჭოს სხდომაზე წარადგინა დარგის ექსპერტმა თამარ ახალაძემ, რომელმაც განაცხადა, რომ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 9 დეკემბრის №1683058 და 12 დეკემბრის №1694393 ბრძანებების საფუძველზე პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტმა თამარ ახალაძემ და ცენტრის წარმომადგენელმა მაია აბდალაძემ და ნონა საათაშვილმა 2023 წლის 18 და 19 დეკემბერს განახორციელეს ვიზიტი ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლაში, კახეთში, საგარეჯოს რ-ნი, სოფელ ნინოწმინდაში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცე.

ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა პროფესიული მომზადების ,,ფუტკრის პროდუქტების მიღება“ და ,,ხეხილოვანი კულტურების დაცვა“ განხორციელების უფლების მოპოვების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება.
დაწესებულებაში ვიზიტის დროს ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
დარგის ექსპერტმა განაცხადა, რომ ფერმერთა სკოლამ 2020 წლიდან მოიპოვა მოკლევადიანი პროგრამების განხორციელების უფლება. ამჟამად სკოლა ახორციელებს 4 პროფესიულ მომზადების პროგრამას, დაწესებულება აპირებს დაიმატოს მეხუთე პროგრამა (,,ხეხილოვანი მცენარეების დაცვა“), რაც შეეხება პროფესიული მომზადების პროგრამა "ფუტკრის პროდუქტების მიღებას" მეორედ შემოიტანეს, ამ პროგრამაზე განათლება უკვე მიიღო 52-მა ადამიანმა.
დარგის ექსპერტმა მოკლედ მიმოიხილა სამივე სტანდარტის ქვესტანდარტები და დასძინა, რომ სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებულია.
მან ისაუბრა პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იქნება 2 განმახორციელებელი პირი, რომელთაც წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ კვალიფიკაცია, დაწესებულებას აქვს C გარემო, რომელიც აღჭურვილია პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო ყველა მატერიალური რესურსით: ხელსაწყო/იარაღებით, სპეციალური ტანსაცმლით. დაწესებულებას პროგრამაზე შეუძლია მიიღოს 1 ჯგუფი, ჯგუფში მაქსიმუმ 15 მსმენელი, აქვე წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
სასწავლო რესურსებთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ დაწესებულების საუკეთესო გამოცდილებად შეიძლება ჩაითვალოს ის გარემოება, რომ განმახორციელებელი პირები სასწავლო რესურსს ჰქმნიან ყველა პროგრამისათვის. მათ უკვე აქვთ ასეთი სამი სახელმძღვანელო შექმნილი, რომელიც სწორედ პროგრამის სწავლის შედეგების თემატიკაზეა აგებული.
აკადემიამ წარმოადგინა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის დეპარტამენტის უფროსის წერილი თანდართული აქტით (2020 წლის 4 ივნისის აქტი №15), რომლის მიხედვითაც ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის შენობა-ნაგებობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ასევე, გაწერილია ამ პროგრამის უსაფრთხოების წესიც.
დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვთ ,,პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველ აპლიკანტთა შერჩევის, მსმენელის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის წესი“ (დირექტორის 2022 წლის №4 ბრძანება), რომლის მიხედვით ხორციელდება აპლიკანტთა შერჩევა, მსმენელის სტატუსის მინიჭება და შეწყვეტასთან დაკავშირებული საკითხები. ასევე, წარმოდგენილი აქვს ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ (დირექტორის ბრძანება №367, დანართი 1), რომლის მიხედვით საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შემუშავების მიზანია სწავლების ხარისხის გაუმჯობესება, სრულყოფა და მისი განვითარება. დაწესებულებას შემუშავებული და დირექტორის 2020 წლის 18 თებერვლის №9 ბრძანებით დამტკიცებული აქვს „პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შეფასების წესი“ რომელიც არეგულირებს პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამაზე მსმენელის შეფასებასთან დაკავშირებულ საკითხებს.
დაწესებულებამ პროფესიული მომზადების პროგრამაზე - ,,ფუტკრის პროდუქტების მიღება“ განახორციელა სულ 5 მიღება, 52-მა დაასრულა და ჯერჯერობით გაცემული აქვთ 28 სერტიფიკაცი ამ პროგრამაზე. ჯამში ფერმერთა სკოლას სულ გაცემული აქვს ოთხ პროგრამაზე 84 სერტიფიკატი.

მან ასევე ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ფუტკრის პროდუქტების მიღება“ პროგრამის სახე მომზადება, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონეა - მესამე, პროგრამის ხანგრძლივობა 12 კვირა, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 15.
შემდეგ დარგის ექსპერტმა ისაუბრა პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ხეხილოვანი კულტურების დაცვა“ შეფასებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ამ პროგრამასთან მიმართებაშიც ხარვეზი არ დაფიქსირდა, რეკომენდაციები არ გაცემულა.
თამარ ახალაძემ მოკლედ მიმოიხილა პირველი სტანდარტი.
2016 წელს „ფერმერთა სკოლამ“, რომ სოფლის მოსახლეობიდან წამოსული ინტერესის საფუძველზე შეესწავლათ - ხეხილის გაშენება, მოვლა და სხვლა-ფორმირება, საგრანტო განაცხადი შეიტანა ისრაელის საელჩოში, მოიპოვა გრანტი, რომლის საშუალებით შეიქმნა „მეხილესთვის“ სასწავლო-პრაქტიკული ბაზა: 2 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა ხეხილოვანი კულტურების ნაირსახეობა: ვაშლი, მსხალი, ატამი, ვაშლატამა, ბალი, ალუბალი, ქლიავი, ნუში და სხვა. ბაღი გაშენებულია ახალი ტექნოლოგიებით-წვეთოვანი საირიგაციო სისტემით.
მან განაცხადა, რომ წარმოდგენილი პროგრამა ითვალისწინებს 7 სწავლის შედეგის მიღწევას, სწავლის შედეგები აღწერილია ცოდნა-გაცნობიერებით, უნარით ან/და კომპეტენციით.
პროფესიული მომზადების პროგრამა - „ხეხილოვანი კულტურების დაცვა“ განხორციელებაში ჩართულია 4 დარგის სპეციალისტი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, რომელთა ცოდნა და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
ოთხივე პედაგოგი წარმოადგენს მცენარეთა დაცვის დარგს და არიან ასოცირებული პროფესორები და წლებია ეწევიან პედაგოგიურ საქმიანობას სასწავლო დაწესებულებებში, ამასთანავე, აქვთ პრაქტიკული მუშაობის გამოცდილებაც.
დაწესებულებას აქვს A გარემო, რომელიც განსაზღვრულია 10 პროფესიული მსმენელისათვის, ასევე C 1 გარემო, არის სასწავლო ლაბორატორიის სახით წარმოდგენილი და აღჭურვილია პროფესიული მომზადების პროგრამისთვის ყველა საჭირო მატერიალურ- ტექნიკური ინვენტარით,
ასევე, C 2 გარემო, ხეხილის ბაღი, რომელიც არის პროგრამის პრაქტიკული ნაწილის სწავლებისა და სათანადო განხორციელებისათვის მატერიალური რესურსით წარმოდგენილი: სხვადასხვა სახეობის ხეხილის ნარგაობით, სარწყავი სისტემით, საჭირო ხელსაწყო/იარაღებით, ვიზიტის დროს მოხდა ადგილის შეფასება და დათვალიერებულ იქნა ყველა საჭირო რესურსი.
დაწესებულებას პროგრამაზე შეუძლია მიიღოს 1 ჯგუფი, ჯგუფში მაქსიმუმ 10 მსმენელი.
მან ისაუბრა პროგრამის პარამეტრებთან დაკავშირებით და განაცხადა, რომ პროფესიული მომზადების პროგრამის სახელწოდებაა „ხეხილოვანი კულტურების დაცვა“, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე, პროგრამის ხანგრძლივობა - 12 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა ზღვრული რაოდენობა - 10, პროგრამის განხორციელების ადგილი - საგარეჯოს რაიონი, სოფელი ნინოწმინდა. პრეზენტაციის ბოლოს წარმოდგენილი იქნა სასწავლო გარემოების ფოტომასალა.
საბჭოს თავმჯდომარემ დასვა კითხვა ,,ფუტკრის პროდუქტების მიღების“ პროგრამაში ცვლილების განხორციელებასთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროგრამას ახორციელებდა ორგანიზაცია და განხორციელების 3 წლიანი ვადის გასვლის შემდეგ განმეორებით შემოიტანა.
საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა პროგრამაში ასახული ცვლილებები ეფუძნებოდა თუ არა მსმენელების გამოკითხვის შედეგებს და ანალიზს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს ცვლილებები განხორციელდა სამწლიანი გამოცდილების შედეგად, რომელიც განმახორციელებელი პირის მიერ იქნა შეთავაზებული.
გიორგი ფეტვიაშვილმა, პროგრამის განხორციელებაში ჩართულმა პირმა განაცხადა, რომ ერთ-ერთი პროდუქტი მამა ფუტკრის ჰომოგენატი, რომელიც ნაკლებადაა ცნობილი, საჭირო და სასარგებლო პროდუქტია, განმახორციელებელმა პირმა საჭიროდ ჩათვალა, რომ პროგრამას დამატებოდა შედეგი 3 - სამამლე ჰომოგენატის, დინდგელის, შხამის, თაფლის წარმოება და შენახვა , ასევე, პროგრამას დაემატა მეხუთე შედეგი - საქართველოში გავრცელებული ფუტკრის

დაავადებები და მათთან ბრძოლის თანამედროვე მეთოდები, მან დასძინა, რომ თუ არ იქნება სწორად შერჩეული მედიკამენტები, შეიძლება მოხდეს დაბინძურება, სწორედ ეს იყო მიზეზი პროგრამაში ჩაემატებინათ აღნიშნული შედეგი.
საბჭოს თავმჯდომარე, ასევე, დაინტერესდა, კმაყოფილების კვლევის ნაწილში თუ იყო რამე რეკომენდაციები, რაზეც ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერმა ლალი ალფაიძემ განაცხადა, რომ მსმენელების მხრიდან მნიშვნელოვანი რეკომენდაციები არ დაფიქსირდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ კითხვები, საბჭოს წევრებს კითხვები არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ფუტკრის პროდუქტების მიღება“ /01835/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ: 436111196) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ფუტკრის პროდუქტების მიღება /01835/ **(დანართი 4)**.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრი ფერმერთა სკოლის „ხეხილოვანი კულტურების დაცვა'' /01845/ - პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
დაწესებულების მიერ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების განაცხადში ასახული ინფორმაციის, დარგის ექსპერტის დასკვნისა და პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ა) ქვეპუნქტისა და მეორე პუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ პროფესიული მომზადების და პროფესიული გადამზადების ცენტრ ფერმერთა სკოლას (ს/კ:

436111196) მიენიჭოს უფლება განახორციელოს პროფესიული მომზადების პროგრამა - ხეხილოვანი კულტურების დაცვა /01845/ **(დანართი 5)**.

დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხების განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დასრულდა: 15:45 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბაბალაშვილი ნინო

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ზაქარეიშვილი მარიკა

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01749	ძალოსნობის ინსტრუქტორი	მომზადება	მეოთხე	14	ქართული	16	ქ. თბილისი, ეგ. ნინოშვილის ქ. №55

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01818	დეკორატიული ბაღის მოვლა	გადამზადება	მეოთხე	13	ქართული	10	ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, რუსთაველის მე-4 ჩიხი №6

დანართი 3

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01842	სასტუმრო საქმის სპეციალისტი	მომზადება	მეოთხე	21	ქართული	80	ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი 37მ, სართული 5

დანართი 4

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01835	ფუტკრის პროდუქტების მიღება	მომზადება	მესამე	12	ქართული	15	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა

დანართი 5

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
01845	ხეხილოვანი კულტურების დაცვა	მომზადება	მეოთხე	12	ქართული	10	საგარეჯოს რაიონი, სოფ. ნინოწმინდა